

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #45
წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 26 ოქტომბერი 2020 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი, წარმოდგენილი მისი დირექტორის მანანა მოისწრაფიშვილის სახით, მისამართი: ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მიკრო რაიონი, მესამე კვარტალი, ნაკვეთი 01/10 (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „უნივერსალშენი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის კახა ასლამაზაშვილის სახით, მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. კორპ. 2 ბ 4 (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2020 წლის 01 ოქტომბერს გამოცხადდა და 12 ოქტომბერს დასრულდა წინადადებების მიღება ელექტრონული ტენდერზე აუქციონის გარეშე NAT200015355 სამუშაოების შესყიდვის შესახებ, (CPV კოდი - 4520000, 45260000), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება დანართის N1 (ხარჯთაღრიცხვის) შესაბამისად, განახორციელოს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შემდგომი და საზეინკლო სახელოსნოში მოწყობილობების მონტაჟის და გადახურვის კერამოგრანიტით მოპირკეთების სამუშაოები (შემდგომში _ სამშენებლო სამუშაო).

ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით 28`848.00 ლარს (შემდგომში _ ხელშეკრულების ღირებულება).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
 - ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
 - ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა;
 - გ) მოცულობათა უწყისი.
 - დ) ხელშეკრულების საერთო პირობები /რომელიც ტიპიურია ყველა ხელშეკრულებისათვის/;
 - ე) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;
3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2021 წლის 31 მარტის.

„შემსყიდველი“
ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მიკრო რაიონი,
მესამე კვარტალი, ნაკვეთი 01/10
ს/კ: 402019917
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
სახაზინო კოდი: 709537552
ბანკის კოდი: TRESGE22
მანანა მოისწრაფიშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს უნივერსალშენი
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის
ხეივანი მე-12კმ. კორპ. 2 ბ 4
ს/კ 404948991
სს “ საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის № GE15BG000000937852800
E-mail: ltu.universalmsheni@gmail.com
TEL: 591337380, 599958573
კახა ასლამაზაშვილი
დირექტორი

ხელშეკრულების საერთო პირობები

ხელშეკრულების საერთო პირობები წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ისინი ატარებენ ტიპიურ ხასიათს და უნდა იქნან გამოყენებული ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს შეესაბამება კონკრეტულ შესყიდვას.

1. გამოყენებული ტერმინები:

- 1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში – “ხელშეკრულება”) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

- 2.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 3.1 ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ პირობებში უნდა იყოს მითითება თუ რა სახის შემოწმებები და გამოცდები სჭირდება შემსყიდველს და ასევე სად უნდა გაიმართოს ისინი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.
- 3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
- 3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
- 3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. სამუშაოს შესრულების პირობები

- 4.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით.
- 4.2 სამუშაოების შესრულების ვადებში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობისა და მისი შესრულების მიმდინარეობაზე შემსყიდველის ან მისი წარმომადგენლის მიერ კონტროლის საკითხები ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
- 4.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5. დაზღვევა (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)

- 5.1 მიმწოდებელი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან სუბკონტრაქტორის პერსონალი და სხვა) ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

6. თანმდევი მომსახურება

- 6.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით გათვალისწინებული თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან და/ან შესყიდვის ობიექტის შემდგომ ექსპლუატაციასთან.
- 6.2 თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 7.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 7.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
- 7.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
- 7.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

8. ანგარიშსწორება

- 8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.
- 8.2 მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია.

9. ანგარიშსწორების ვალუტა

- 9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში (თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტი).
- 9.2 ანგარიშსწორება განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ საანგარიშსწორებო ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით.

10. ფასები

- 10.1 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რამ გათვალისწინებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
- 10.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
- 10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 11.2 თუ რაიმე წინასწარ გათვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 11.4 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და კანონქვემდებარე აქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

- 12.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი უფლებები და ვალდებულებები.

13. სუბკონტრაქტორები

- 13.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული წინადადებაში.
- 13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
- 13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

- 14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამოწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
- 14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 15.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
- 15.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

- 16.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
- (ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;
- (ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
- 16.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 16.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
- ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

16.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

17. ფორს-მაჟორი

17.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

17.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

17.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოწახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

18. სადავო საკითხების გადაწყვეტა

18.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ

18.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. გამოყენებული სამართალი

19.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

20. ხელშეკრულების ენა

20.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

21. შეტყობინება

21.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

21.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

22. გადასახადები და დაბეგრა

22.1 უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, ბაჟის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელის გადახდაზე, რომელიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

22.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელის გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მეშვეობით ხორციელდება ხელშეკრულების საერთო პირობების შევსება, დაზუსტება და ცალკეული შესყიდვისათვის დამახასიათებელი პირობების დაკონკრეტება. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებს, საერთო პირობებს და დანართებს (დეფექტური აქტი, ხარჯთაღრიცხვა) შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების შესაბამის მუხლებს.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ხელშეკრულების მხარეები არიან:

შემსყიდველი - ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი, წარმომადგენელი მისი დირექტორის მანანა მოისწრაფიშვილის სახით, მისამართი: ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მიკრო რაიონი, მესამე კვარტალი, ნაკვეთი 01/1.

მიმწოდებელი მხრივ, შპს „უნივერსალმშენი“, წარმომადგენელი მისი დირექტორის კახა ასლამაზაშვილის სახით,

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 შემსყიდველი უფლებამოსილია, როგორც სამუშაოების მიმდინარეობისას, ასევე მათი დასრულების შემდგომ, ნებისმიერ დროს, განახორციელოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობების, ხარისხისა და ვადების კონტროლი, გარკვეულ შემთხვევებში იმ მომსახურებათა და მოწყობილობების კონტროლი, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაოთა შესრულებასთან. სამუშაოების შესრულების მიმდინარეობის, ვადების, განხორციელების ადგილსა და საჭიროების მიხედვით სხვა აუცილებელი ინფორმაციის კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, ა(ა)იპ სარკინიგზო კოლეჯის დირექტორის მოადგილე დავით საზანდრიშვილი (ტელ: 591190077) ასევე, ექსპერტი, ან ექსპერტთა ჯგუფი.

2.2 შემსყიდველს უფლება აქვს, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, მოითხოვოს მიმწოდებლისაგან სამუშაოების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

3. სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ადგილია” ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მიკრო რაიონი, მესამე კვარტალი, ნაკვეთი 01/10 (ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი.

3.2 შემსყიდველის მიერ, შესრულებულ სამუშაოში ხარვეზების არსებობის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა ხარვეზის აღმოსაფხვრელად და გამოსწოროს ხარვეზი (ხარვეზები) საკუთარი ხარჯებით.

3.3 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას სამუშაოების შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა მაღალი ხარისხისა და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველს მიაწოდოს შესაბამისი სერტიფიკატები სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებულ მასალებსა და მოწყობილობებზე (მათი არსებობის შემთხვევაში). შემსყიდველს უფლება აქვს, დამატებით, ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესაბამისი სერტიფიკატი;

3.4 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები შეთანხმდეს შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა ან მოწყობილობა ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოსწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო;

3.5 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი სამუშაოების შესრულების პროცესში დააზიანებს შემსყიდველის ქონებას (შენობა-ნაგებობა და ა.შ.), უზრუნველყოფს შემსყიდველის ქონებისათვის (შენობა-ნაგებობა და ა.შ.) პირვანდელი სახით აღდგენა საკუთარი ხარჯებით;

3.6 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მუშაობის პროცესში სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით;

3.7 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ფასი მოიცავს უშუალოდ სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებულ ხარჯს;

3.8 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;

3.9 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გასწიოს ყველა თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოთა შესრულებასთან.

3.10 მიმწოდებელი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3.1 პუნქტში აღნიშნულ საბოლოო ვადამდე დაასრულოს სამუშაოები და მოითხოვოს შესრულებული სამუშაოების (შესყიდვის ობიექტი) მიღება-ჩაბარება ამ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-4 მუხლის შესაბამისად.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება განხორციელდება მხოლოდ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე (ამასთან, პირველადი ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსყიდველს, ხოლო უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, ყოველი შემდგომი ექსპერტიზის ხარჯები ეკისრება მიმწოდებელს. ამასთან, პირველადი ექსპერტიზის შედეგად უარყოფითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ექსპერტიზა იმავე აკრედიტირებულ საექსპერტო დაწესებულებაში, სადაც შემსყიდველმა განახორციელა პირველადი ექსპერტიზა).

4.1.1 შესრულებული სამუშაოების ღირებულების განსაზღვრა განხორციელდება ექსპერტიზის დასკვნ(ებ)ის გათვალისწინებით (შესაბამისად, შემსყიდველი ანგარიშსწორებას განახორციელებს ექსპერტიზის დასკვნ(ებ)ით დადგენილი ოდენობის შესაბამისად). ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის დასკვნ(ებ)ით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება გადაჭარბებს ამავე სამუშაოებისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრულ მაქსიმალურ ღირებულებას, შემსყიდველი ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულებით. ებული სამუშაოების (შესყიდვის ობიექტი)

მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ობიექტის სრულად/ფაქტობრივად შესრულების შემდეგ და ექსპერტის (ექსპერტთა ჯგუფის) მიერ ობიექტზე წარმოდგენილი დადებითი დასკვნის გათვალისწინებით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერების გზით.

4.1.2 შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერა უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ: ა) აიპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორი მანანა მოისწრაფიშვილი.

4.2 მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის და ხელმოწერის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველს წარუდგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5. გარანტია

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, მასზედ რომ მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შეესაბამება საქართველოში სამშენებლო სამუშაოების შესრულების დადგენილ ნორმებს.

5.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაოები, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

5.3 მიმწოდებელი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 3 კალენდარული წლის ვადით იძლევა გარანტიას შესრულებულ სამშენებლო სამუშაოებზე და დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში იღებს ვალდებულებას მოახდინოს მათი გამოსწორება საკუთარი ხარჯებით.

5.4 საგარანტიო ვადის განმავლობაში, ექსპლუატაციის პროცესში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან მაქსიმუმ 10 (ათი) კალენდარულ დღეში (აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით) გამოასწოროს წარმოქმნილი ნაკლოვანება/დეფექტი საკუთარი ხარჯებით.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

6.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ქართული ლარი;

6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

6.4 შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება და საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოების მხოლოდ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე (ამასთან, პირველადი ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსყიდველს, ხოლო უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, ყოველი შემდგომი ექსპერტიზის ხარჯები ეკისრება მიმწოდებელს. ამასთან, პირველადი ექსპერტიზის შედეგად უარყოფითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ექსპერტიზა იმავე აკრედიტირებულ საექსპერტო დაწესებულებაში, სადაც შემსყიდველმა განახორციელა პირველადი ექსპერტიზა).

6.5 შესრულებული სამუშაოების ღირებულების განსაზღვრა განხორციელდება ექსპერტიზის დასკვნის(ებ)ის გათვალისწინებით (შესაბამისად, შემსყიდველი ანგარიშსწორებას განახორციელებს ექსპერტიზის დასკვნის(ებ)ით დადგენილი ოდენობის შესაბამისად). ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის დასკვნის(ებ)ით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება გადააჭარბებს ამავე სამუშაოებისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრულ მაქსიმალურ ღირებულებას, შემსყიდველი ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულებით.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ამ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 3.1. მუხლით გათვალისწინებული საბოლოო ვადის გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,1 %-ის ოდენობით. ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა შეწყდება მას შემდეგ, რაც დარიცხული თანხა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5 %-ს.

7.2 თუ მიმწოდებლის მიერ დარღვეულ იქნა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადები, რაც გამოვლენილ იქნება შემსყიდველის მხრიდან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის (ექსპერტი, ან ექსპერტთა ჯგუფი) მიერ, შემსყიდველი უფლებამოსილია დამატებით განუსაზღვროს მიმწოდებელს გონივრული ვადა შეუსრულებელ სამუშაოთა დასრულებისათვის. თუ მიმწოდებლის მიერ ამ ვადაშიც არ იქნა დასრულებული სამუშაოები, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაშიც მოშალოს ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით.

7.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით.

7.4 ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს, შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) არაუმეტეს 5%-ს.

„შემსყიდველი“

ა) აიპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მიკრო რაიონი,
მესამე კვარტალი, ნაკვეთი 01/10
ს/კ: 402019917
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ა) აიპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
სახაზინო კოდი: 709537552
ბანკის კოდი: TRESGE22
მანანა მოისწრაფიშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი“

შპს უნივერსალშენი
მის: ქ. თბილისი, ადამენებლის
ხეივანი მე-12კმ. კორპ. 2 ბ 4
ს/კ 404948991
სს “საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის № GE15BG000000937852800
E-mail: td.universalmsheni@gmail.com
TEL: 591337380, 599958573
კახა ასლამაზაშვილი
დირექტორი

ფასების ცხრილი - რესურსული ხარჯთაღრიცხვა

N	საფუძველი	სამუშაოების და ხარჯების დასახელება	განზ/ერთ	რაოდენობა		მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები		სულ	
				ნორმ. ერთ	სულ	ერთ	სულ	ერთ	სულ	ერთ	სულ		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
1	11 - 8 - 1 - 2 საბაზრო	არსებული რულონური ბურულის ზედაპირზე მოჭიმვის მოწყობა ქ/ც ხსნარით ჰიდროსაიზოლაციო მასალა "Kalmatron"-ის შერევით სისქით 4 სმ	გ²		340.00		1493.35		1020.00		19.07	2532.43	
		შრომის დანახარჯი	გ²	1.0	340.00			3.0	1020.00				1020.00
		მანქანა	ლარი	0.0187	6.36						3	19.07	19.07
		ქ/ც ხსნარი	მ³	0.0408	13.87	90.0	1248.48						1248.48
		ჰიდროსაიზოლაციო მასალა "Kalmatron"	კბ		60.0	3.0	180.00						180.00
4.1 - 379	4.1 - 441	სხვა მასალები	ლარი	0.0636	21.62	3	64.87					64.87	
2	11. - 20 - 3 საბაზრო	კერამოგრანტის ყინვაგამძლე ფილების მოწყობა	გ²		340.00		8683.53		6120.00		46.10	14849.64	
		შრომის დანახარჯი	გ²	1.0	340.0			18.0	6120				6120.00
		მანქანები	ლარი	0.0452	15.37						3	46.10	46.10
		კერამოგრანტის ყინვაგამძლე ფილა	გ²	1.02	346.80	20.0	6936.00						6936.00
		წებო - ცემენტი ყინვაგამძლე წყალგაუმტარი	კბ	5	1700.0	1	1700.00						1700.00
4.1 - 325	4.1 - 210	სხვა მასალები	ლარი	0.0466	15.84	3	47.53					47.53	
3	სნ და წ. 15 - 55 - 9	პარაპეტის კედელზე ბათქაშის ბადის გაკვრა და გაღესვა ქ/ც ხსნარით	გ²		6.0		72.91		60.60		2.95	136.45	
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	1.01	6.06			10.0	60.6				60.60
		ხსნარის ტუმბო 1 კუბ/სთ	მანქ/სთ	0.041	0.25					10	2.5	2.46	2.46
		მანქანები	ლარი	0.027	0.16					3	0.49	0.49	0.49
		1.9 - 37	ბადე-ბათქაშის უჯრედით 20X20 მმ	გ²		6.0	10.0	60.00					60.00
		4.1 - 380	ქ/ც ხსნარი	გ²	0.0238	0.14	90	12.85					12.85
	სხვა მასალები	ლარი	0.003	0.02	3	0.05					0.05		
3	11. - 20 - 3	პარაპეტის კედელზე კერამოგრანტით პლინტუსის მოწყობა სიმაღლით 10 სმ	გ²		6.0		153.24		240.00		0.81	394.05	

		შრომის დანახარჯი	მ ²	1.0	6.0			40.0	240			240.00
		მანქანები	ლარი	0.0452	0.27					3	0.81	0.81
	4.1 - 325	კერამოგრანიტის ყინვაგამძლე ფილა	მ ²	1.02	6.12	20	122.40					122.40
	4.1 - 210	წებო - ცემენტი ყინვაგამძლე	კბ	5.0	30.00	1.0	30.00					30.00
		სხვა მასალები	ლარი	0.0466	0.28	3	0.84					0.84
4	9. - 7 - 2	პარაპეტის თავზე ლითონის მოაჯირის მონტაჟი	ტ		0.390		909.59		704.34		3.26	1617.19
	საბაზრო	შრომის დანახარჯი	კაც/სთ	30.10	11.7			60.0	704.34			704.34
		მანქანები	ლარი	2.79	1.09					3	3.26	3.26
	2.2 - 61	ფოლადის კვადრატული მილი 60X40	გრ/მ		60.0	8	480.00					480.00
	2.2 - 46	ფოლადის კვადრატული მილი 30X41	გრ/მ		35.0	5	175.00					175.00
	1.6 - 27	ფურცლოვანი ფოლადი სისქით 3 მმ	მ ²		1.0	35	35.00					35.00
	1.10 - 12	დუბელი L-100	ც		150.0	0.8	120.00					120.00
	1.10 - 14	ელექტროდი	კბ	2.03	0.79	8	6.33					6.33
	11.1 - 29	საჭრელი ქვა ფ 125 მმ	ც		5.0	5	25.00					25.00
	საბაზრო	სახეხი ქვა ფ 125 მმ	ც		5.0	5	25.00					25.00
	11.1 - 40	ბურღი აღმაზის (ბეტონის)	ც		4.0	10	40.00					40.00
		სხვა მასალები	ლარი	2.78	1.08	3	3.25					3.25
5	34 - 33 - 2	ლითონის კონსტრუქციების შეღებვა ანტიკოროზიული საღებავით ორჯერ	ტ		0.390		12.25		220.12		0	232.37
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	6.64	2.6			85.0	220.12			220.12
	4.2. - 34	საღებავი ზეთოვანი ანტიკოროზიული	კბ	4.90	1.9	5.00	9.56					9.56
	4.2. - 14	ალიფა	კბ	1.70	0.7	4.0	2.65					2.65
		სხვა მასალები	ლარი	0.04	0.02	3	0.05					0.05
		ჯამი:					11324.87		8365.06		72.20	19762.13
		საპირფარეშო										
1	სნ და წ. 17 - 1 - 5	კერამიკის ხელსაბანის მონტაჟი	კომპ.		2.0		663.30		153.00		0.24	816.54
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	1.02	2.04			75.0	153			153.00
		მანქანა	ლარი	0.04	0.08					3	0.24	0.24
	6.13	კერამიკის ხელსაბანი	ც	1.0	2.0	120.0	240.00					240.00
	6.8	წყლის შემრევი	ც		2.0	40.0	80.00					80.00
	6.19	ხელსაბანის ფეხი თეთრი	ც	1.0	2.0	40.0	80.00					80.00
	6.35	სიფონი ხელსაბანის	ც	1.0	2.0	10.0	20.00					20.00
	6.50	ვენტილი დ=20	ც		4.0	15.0	60.00					60.00

საბაზრო	დრეკადი მილი	ც		4.0	9.7	38.88				38.88	
4.4 - 54	სარკე 40X60სმ=2 ც	ც		0.48	300.0	144.00				144.00	
	სხვა მასალები	ლარი	0.07	0.14	3	0.42				0.42	
	ჯამი:					663.30		153.00		0.24	816.54
	სულ ჯამი					11988.17		8518.06		72.44	20578.67
	ზედნადები ხარჯები	10%									2057.87
	ჯამი										22636.53
	გეგმიური ღირებულება	8%									1810.92
	ჯამი										24447.46
	დღგ	18%									4400.54
											28848.00

„შემსყიდველი“
ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მიკრო რაიონი,
მესამე კვარტალი, ნაკვეთი 01/10
ს/კ: 402019917
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
სახაზინო კოდი: 709537552
ბანკის კოდი:TRESGE22
მანანა მოისწრაფიშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს უნივერსალშენი
მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის
ხეივანი მე-12კმ. კორპ. 2 ბ 4
ს/კ 404948991
სს “ საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის № GE15BG000000937852800
E-mail: ltd.universalmsheni@gmail.com
TEL: 591337380, 599958573
კახა ასლამაზაშვილი
დირექტორი